ნთ მეშარც. სოც.-შედ. სარევ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

84 ორშათი, იანვრის 1 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20,000 მან. ნონპარელი
4 „ 10,000 „
საგვლოვიარო განცხადებ.
1 გვ. 500,000 მან.
4 „ 300,000 „

F 269/3 N 1290

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკ. რეგულ. ეროვნული ბიბლიოთეკა Библиотека Музея Рев. Грузии

უოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ელირება ხელის მოწერთათვის დაგზავნით და სახლშ ვიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: **პეტროგრადში, მოსკოვში** და საქართველოს მნიშვნელოვან **დაბა-ქალაქებში**. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი 10—34 ფოსტის ყუთი № 190.

გაუბედურებული მეუღლე ვლადიმერ გრიგოლის ძე, შვილები: ნადია, ლიუბა და ვალიკო კანდელაკები, ქალი და სიძე ვერა და ვასიკო კვინიკაძეები შვილით რეზიკოთი, მშობლები: მღვ. ილარიონ და მაკრინე, ძმა მღვ. თეოდოტი გიორგაძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 29 დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ნატალია ილარიონის ასული კანდელაკისა

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს 3 იანვარს დღის 3. ბინიდან ჩერქეზიშვილის ქ. № 130 რკინის გზის სასწავლებლის შენობიდან. № 371

● რუსთაველის თეატრი ●

ორშაბათს 31 დეკემბერს

ოლრი ჭიპგირი

1—1



ამშაბათს 2 იანვარს

მზის დაბნელება

დადგმა კ. მარჯანიშვილისა.

1—1

ოთხშაბათს, 3 იანვარს, 1922 წ. საღამოს 5 საათზე სახალხო სახლის შენობაში შესდგება ქ. ტფილისის საბჭოს

კომფრაქციის სხდომა

ამავე დღეს საღამოს 7 საათზე იმავე შენობაში შესდგება

საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობის შედეგების შესახებ. 2. ამხ. **გ. კიკნაძის** მოხსენება ზემო ავჭალის გიდრო-ელექტრონულ სადგურზე მუშაობის მსვლელობის შესახებ. 3. ქ. საბჭოს ხელ-ახალი არჩევნები. 4. მიმდინარე საკითხები.

კომფრაქციის და საბჭოს სხდომა შესდგება თავის დროზე დამსწრეთა რიცხვის მიუხედავად.

251 3—1 მდივანი: **ხუნდაძე.**

ახალი წელი

კიდევ ერთი წელი მიემატა წარსულს და ახალი წელი კარებზე გვიკაკუნებს. რევოლიუციონურ პერიოდში ცხოვრების მსვლელობა ისეთი სწრაფია, რომ წლები საუკუნეს თუ არა, ათეულ წლებს მაინც უდრის. სწორედ ასეთი იყო გასული 1922 წელიც, მდიდარი შინაარსით და ალსავსე ისტორიული მომენტებით. მშრომელი საქართველო წყველა-კრულვით არ გააცილებს გასულ წელს, როგორც ამას მოითხოვს ქართველი ხალხის ძველი ჩვეულება. ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესება, როგორც ეკონომიურს, ისე კულტურულ დარგში, საკმაოდ თვალსაჩინოა ყველასათვის. მიუხედავად მოუსავლობისა და საშინელი წყალდიდობისა, რომელმაც მთელი სოფლები და რაიონები ცალიერზე დასვა, პატარა საქართველო მაინც არ დაეცა ეკონომიურად და გამარჯვებული გამოვიდა მძიმე განსაცდელისაგან. საბჭოთა სისტემამ აქაც ჩინებულად დაიჭირა გამოცდა და ბევრი ურწმუნო თომას გული მოინადირა.

საქართველოს მუშები და გლეხები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა სისტემა მათთვინ ხელსაყრელი და სასარგებლოა და თუ მას ნაკლი ემჩნევა, ეს გამოუცდელობის ან შეცდომის ბრალია და არა თვით სისტემის. დეფექტების და შეცდომების გამოსწორება კი მუდამ შეიძლება და აქეთ უნდა იყოს მიმართული ყოველი შეგნებული და თავის ერთგული მშრომელის საქმიანობა.

შეჩერებული და განადგურებულ მრეწველობა აღდგენის გზაზეა. ამუშავდა ფაბრიკა-ქარხნები, მაგრამ კერძო კაპიტალის გარეშე, მთავარი ძარღვი ეკონომიური ცხოვრებისა, საგარეო ვაჭრობა, რკინის გზა და ტრესტები მუშათა სახელმწიფოს ხელშია.

წარმოებაში შრომის ნაყოფიერება თანდათან მატულობს, რამაც შესაძლო გახადა ხელფასის მომატება და მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა გასული წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა. მოეწყო სოციალური დაზღვევა. მუშა-მოსამსახურე უზრუნველყოფილი ავადმყოფობის დროს, უმუშევრობის დროს, ინვალიდობის დროს, ჯერ-ჯერობით უსახსრობისა გამო დამზღვევი სალარო იძლევა მინიმალურ დახმარებას, მაგრამ მისი გადიდება და ნორმალ ზომამდე აყვანა დამოკიდებულია მრეწველობის განვითარებისაგან და ეს უკანასკნელი შრომის ნაყოფიერების ზრდისაგან. პრინციპიალურად კი საბჭოთა მთავრობამ მუშათა კლასს მაინც სოციალურ დაზღვევის სახით ასეთი დიდი გამარჯვება, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებში არ დაესიზმრებად. უმთავრესია ამ დიდ საქმეში გაკეთებულ ის აწი მისი ზრდა-განვითარება თვით მუშებზეა დამოკიდებული.

წვრილმა გლეხობამაც მიწა მიიღო. მართალია აქაც პრინციპიალურადაა საკითხი გარდაწყვეტილი და მიწის კანონი არაა ჯერ-ჯერობით ცხოვრებაში გატარებული, მაგრამ მშრომელი გლეხობა დარწმუნებულია, რომ რაც საქართველოს საბჭოთა ყრილობამ მის მიერ არჩეულმა აღმასკომმა დაადგინა, ის აუცილებლად შესრულებული იქნება მიწა მიეცემა მას კანონიერ და ბუნებრივ პატრონს მიწის მუშას. 1922 წელმა ეს საკითხი გადასჭრა გლეხთა სასარგებლოდ, 1923 წელმა ეს სისრულეში უნდა მოიყვანოს.

ცუდია გლეხის მდგომარეობა სოციალური დაზღვევის მხრით. არსებული კანონი ეხება მხოლოდ დაქირავებულ მშრომელს და სხვარიგად არ შეიძლება იყოს. დაზღვევის თანხა შესდგება წარმოებიდან აღებული პროცენტებისაგან და ის უნდა მოხმარდეს ამავე წარმოებაში ჩამბულ მუშა-მოსამსახურეებს. გლეხი ცალკე დამოუკიდებელი მეურნეა და მას სავსებით უნდა უზრუნველყოფდეს მისივე შრომის ნაყოფი, მისი მეურნეობა. მაგრამ ეს ასე არ არის ფაქტიურად, გლეხი სარჩოს ძლივს იწევს და სრულიად არ არის უზრუნველყოფილი ავადმყოფობის დროს, მშობიარობის დროს, დროებით უმუშევრობის დროს ინვალიდობის დროს და. სხვა. აუცილებელია ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და მოეწყოს გლეხთა სოციალური ურთიერთ დაზღვევა.

ეს საქმეც აუცილებლად უნდა ითავოს საბჭოთა მთავრობის სათანადო ორგანომ. გასულმა წელმა სოციალურად უზრუნველჰყო დაქირავებული მშრომელი, 1923-მა წელმა ისევე უნდა უზრუნველჰყოს მშრომელი გლეხი.

ჩვენ ეროვნულ-კულტურულ ფრონტზე დაც წარმატებას ვხედავთ 1922 წლის განმავლობაში. გამოცოცხლდა მწერლობა, განსაკუთრებით პოეზია, გამრავლდა ჟურნალ-გაზეთები; წინ მიდის მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა, დრამა, თეატრი. თვით კულტურულ ძალებშიაც მოხდა ერთგვარი გარდატეხა და ჩვენი ინტელიგენცია ეძებს საერთო ენას, საბჭოთა სისტემის ნიადაგზმდ მუშაობის გაჩაღებას. ყოველივე ეს უტყუარი ნიშანია ჩვენი კულტურული აღორძინებისა. კიდევ ბევრი დაბრკოლებაა დასაძლევი, რომ ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ ფრთა გაშალოს და შესაფერ სიმაღლეზედ ავიდეს. მაგრამ მისი წინსვლა-განვითარება სრულიად უზრუნველყოფილია და ჩვენ დიდი იმედებით ვეგებებით მომავალ წელს.

მან ნიადაგი უნდა გაუმაგროს ჩვენ კულტურულ აღორძინებას და ეს ასეც მოხდება.

ახალი წელი კარებზედ გვიკაკუნებს.

რა მოგაქვს: მშვიდობა, თუ რევოლიუცია?

ომეგა.

გასული წელი

ჩვენ არასოდეს არ ვიყავით დოგმატიური იდეალების მონა და დღეს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გადავსინჯოთ გასულ წლის ნამოქმედარი და კრიტიკულად უნდა შევაფასოთ იგი. პოლიტიკურ პარტიას ვერ მოსპობს პოლიტიკური შეცდომა, ხოლო მას დაამსხვრევს პოლიტიკური შეცდომის ვერ დანახვა. პოლიტიკა, როგორც მეცნიერებაც პრაქტიკულ დისციპლინათა რიგში სდგას და მით უფრო პრაქტიკულ ნიადაგზე უნდა შემოწმდეს ის პოლიტიკა, რომელსაც მიმდინარე ცხოვრების ბობოქარ ტალღებში ვაშენებთ ამა თუ იმ პოლიტიკური კონიუნქტურის დროს.

ამიტომ, ზედმეტი არ იქნება თვალი გადავავლოდ გასულ წლის პოლიტიკურ ვითარებას,

ამის მთლიანობისათვის ჩვენ დავიწყებთ საერთაშორისო პოლიტიკის მიმოხილვიდან, რადგან გარეშე ამისა ჩვენთვის ბევრი რამ გაუგებარი იქნებოდა საშინაო პოლიტიკის სფეროში.

რას წარმოადგენდა გასულ წელს საერთაშორისო მდგომარეობა? როგორი იყო პოლიტიკური ვითარება 1922 წელს? როგორი იყო ჩვენ მიერ ამ პოლიტიკური კონიუნქტურის შეფასება?

ჩვენი პოლიტიკის უმთავრესი საფუძველი თანამედროვე ეპოქის ხასიათის გაგებაში მარხია: ჩვენ თანამედროვე ეპოქა წარმოდგენილი გვაქვს, როგორც გარდამავალი ეპოქა „კაპიტალისტურ წყობილებიდან სოციალისტურ წყობილებაში ჩვენი პოლიტიკა კაპიტალიზმის დეგრადაციის ფაქტს ტ სოციალისტური მოძრაობის განვითარებას ემყარება. მაშასადამე ჩვენი პოლიტიკის შემოწმება ამ ტენდეციათა გათვალისწინებაში უნდა ვეძებოდ. ამ მხრივ გასული წელი მეტად საინტერესო სურათს წარმოადგენს.

ეკონომიური მხრით ევროპის დეკადანსის ფიგურალური მოვლენებია ჩვენს წინაშე. მსოფლიოს ომამდე რუსეთი უდიდესი ბაზარი იყო ევროპის მრეწველობის და ამავე დროს უდიდესი მომხმარებელი იყო ევროპის ფაბრიკატების. რუსეთის ხალხის რაოდენობა სამჯერ აღემატებოდა ინგლისის მცხოვრებთა რაოდენობა. ხოლო, სამ ნახევარჯელ საფრანგეთისას. გერმანეთი და ინგლისი იყო უმთავრესად რუსეთისადმი საქონლის მომწოდებელი. რუსეთში აუარებელი ფული ქონდა ჩაყრილი ევროპის ქვეყნებს და არსებითად რუსეთი ნახევარ კოლონიას წარმოადგენდა. მარტო ოს ბაბუთზედ მეტი ქონდა ევროპიელ სახელმწიფოების.

რუსეთის რევოლიუციამ ერთი მხრით ვალების ანულიაცია მოახდინა; ხოლო მეორე მხრით იგი ჩაკეტა ევროპის ქვეყნებისათვის, როგორც გამსაღებელი ბაზარი. ცხადია, მარტო, ეს მოვლენაც, თავი, რომ დავანებოდ ომის მიერ განადგურებულ ევროპის წარმოებას და ოკეანეს გაღმა ქვეყნების ძლიერ კონკურენციას, საგრძნობ დაღს დაასვამდა ევროპის ეკონომიურ ცხოვრებას.

რა თქმა უნდა მარტო რუსეთის საკითხი, მარტო რუსეთის რევოლიუცია არ არის უმთავრესი პირობა ევროპის კაპიტალიზმის დეგრადაციის.

რუსეთში და მის განაპირა საბჭოთა ქვეყნებში აღმართული წითელი დროშა უმალვე ძირს დაეშვებოდა, რომ ევროპის დაღუპვას ხელს არ უწყობდეს სხვა მრავალი ფაქტორი, რომელიც ევროპის კაპიტალიზმს გასაქანს არ აძლევს.

კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპმა მოგვცა არა მარტო მუშის ექსპლოატაცია, არამედ ერთა ექსპლოატაციაც. კაპიტალიზმმა მუშათა განუზომელი გაყვლებით დაიწყო თავისი არსებობა და მუშათა მოძრაობა გამოიწვია, რომელიც ამტვრევდა ზანქანებს და ლეწდა ქარხნებს. კაპიტალიზმმა თავის დასასრულს პატარა ერთა განუზომელი ექსპლოატაციაც დაასრულა და თუ ჯერ კიდევ გუშინ ამერიკა ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა, რომელსაც მაგრატლების კეთების ნებასაც არ აძლევდა დღეს ესევე ამერიკა ევროპის ამერიკანიზაციასაც ისახავს მიზნად და მარტო ინგლისმა ამერიკას 500 მილ. გირვანქა სტერლინგი უნდა გადაუხადოს მას თავის ვალის პროცენტად ყოველ წლიურად.

ეს ფაქტი მეტად საყურადღებოა. კოლონიალურ პოლიტიკისათვის დღეს არ არსებობს ახალი კონტინენტი. იმპერიალიზმმა გაანადგურა, როგორც აზიის ურდოები, ისე აფრიკის მიდამოები. მიუხედავად ამისა კოლონიების ეკონომიური სრული დამონება შეუძლებელი გახდა. ინგლისი ეს მთავარი მეტროპოლია ყველა მეტროპოლიათა შორის, მთავარი თავისი კოლონიების სიდიდითა და რიცხვით, იძულებულია გახდა დათმობის, კომპრომისის პოლიტიკისათვის მიერთმართა, განსაკუთრებით ამერიკის რევოლიუციის შემდეგ და ახლა უკვე ტაციით აღადგინოს დაშლილი ეკონომიური ცხოვრება.

ოკეანეს გაღმა ქვეყნების კონკურენციის სიმძლავრე ნათელი გახდება, თუ თუ გნებავთ იმ ფაქტითაც, რომ მთელი ინგლისის შემოსავალი ამერიკის შემოსავლის მხოლოდ ერთ მერვედს უდრის

ჩვენ შეგვეძლო სტატისტიკური მასალით ნათელყოფა იმ ფაქტის, რომ ეკონომიური სიმძიმის ცენტრი დაშორდა ევროპას გადავიდა ოკანეს გაღმა ქვეყნებში, სახელდობრ ამერიკაში, მაგრამ ჩვენ საუბარს მეტად გაგრძელებდა მით უფრო, რომ ამ საკითხების ირგვლივ ვრცელი მოხსენება დაიბეჭდა ჩვენს ორგანოში უკანასკნელ დროს.

ევროპის ეკონომიური ცხოვრების აღდგენა არა სჩანს. საერთაშორისო კონფერენციები ვერაფერს აძლევს ევროპიულ კაპიტალიზმს. ვაშინგტონი, ჯანა, გენუა, ჰააგა, ლონდონი და ახლო აღმოსავლეთის კონფერენციები ვერ ამბობენ ახალ სიტყვას ეკონომიურად დაშლილ მსოფლიოს შესახებ. ეს ასეც იქნება, მანამ, სანამ რუსეთი, ავსტრია, გერმანეთი და ოსმალეთი ევროპისათვის თავსამტვრევი პრობლემაა, სანამ ამ ქვეყნების მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა არ აღსდგებ სხვა ევროპიულ და აზიურ ქვეყნებთან ეს კი კაპიტალიზმის ნიადაგზე შეუძლებელია.

დღეს ქაოსი და დისჰარმონიაა შექმნილი ევროპისა და აზიის ეკონომიურ ცხოვრებაში. ეს დისჰარმონია არ ისპობა, არამედ მწვავე და ხანგრძლივი კრიზისების ხასიათს ღებულობს. ამ რიგად 1922 წელმა კაპიტალიზმს ვერ მისცა აღდგენის პირობები. ეკონომიური ცხოვრება ზიგზაგისებურად მიდის, მაგრამ საერთოდ იგი დაცემის გზაზედ სდგას.

ასეთია სულ მოკლედ და ზოგადათ ევროპის ეკონომიური ცხოვრების კონტური. საკითხი ისმის როგორია პოლიტიკური მსვლელობის მიმართება? საით მიდის საერთაშორისო პოლიტიკის გეზი?

ამის შესახებ შემდეგ წერილში ვისაუბრებთ.

სერ. ამაღლობელი.

ორი ფრონტი

ჩვენ ჯამყოფებით ორ მსოფლიოს შუა: ერთის მხრით მსოფლიო უთანასწორობის, რომელიც თავდება და, მეორე მხრით, მსოფლიო თანასწორობის, რომელიც იწყება.

პიერ ლერუ.

მსოფლიო მებრძოლი ძალები ახალ ფაზისში შედის. 1923 წელი თავის განიერ ფრთებს ქვეშ მოაქცევს შეურიგებლებს. ორივე ფრონტის წინაშე ეიშლება დროის ახალი სივრცე. ისტორიის ეკრანი უცდის ახალ სახეების, ახალ შინაარსის აღბეჭდვას.

წარსული მშობელია მომავლისა. მოვლენათა ინდუქცია საფუძველია ჩამოყალიბებულ ჰიპოტეზათა ცხადყოფის. გასული წლის შინაარსი, განვლილი პრაქტიკული მიღწევები შუქმფენია ახალი დატის შინასკნელის.

რა დაგვანახა წარსული ბრძოლის მაგალითებმა? რას გვიკარნახებს იგი? რა მიმართულებით ტრიალებს სამსოფლიო ცხოვრების ჩარხი? აი მთავარი კითხვები, მებრძოლ ბანაკთა ინტერესების შემხები.

დღეს მეხუთედ ეგებება რევოლიუციონური მსოფლიო ახალ წელს. ახალი წლის სიო ნაზად შეარხევს კაპიტალთან ბრძოლის პოზიციაზე აფრიალებულ საბჭოთა ფედერაციის დროშას. საკმაოდ გამაგრებული მოღონიერებული, გაკაჟებული, გაძლიერებული ხვდება რევოლიუციონური ფრონტი ახალ პერიოდის დასაწყისს. გასული წელი საბჭოთა ქვეყნების ნორჩ ხერხემლის გასალკდევების განსახიერება იყო. რევოლიუციონურ რესპუბლიკების ეკონომიური ღონე გამსხვილდა, მნიშვნელოვნად გადიდდა. ვერც ანტანტას ეკონომიურმა ბლოკადამ, ვერც სიმშილის ცელის დატრიალებამ, ვერც შინაურ კონტრევოლიუციურ ძალების „შემოქმედებამ“ ვერ შეარყია, ვერ ააცდინა სწორ მიმართულებას მშრომელთა მასსის სოციალ-პო-

ლისსმოდ გაიზარდა. სამხედრო კომუნიზმის ნანგრევებზე აბიბინდა სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის ჯეჯილი. ფაბრიკა-ქარხნების გუგუნი გაისმის პროლეტარულ სახელმწიფოს მიდამოებში. მეურნეობის ყოველი დარგი დაუახლოვდა ჩვეულებრივ კალაპოტს. ზოგ შემთხვევაში წარმოების ინტენსიფიკაცია ლახავს მოლოდინის ფარგლებს, წარმოება ნავთის, ნახშირის, სპილენძის, საერთოდ—მადნეულობის აღწევს ომამდე არსებულ რაოდენობას.

კიდევ დიდი პლიუსი. სიმშილობამ განვლო სავსებით ბატონობის დღეები. 20 მილიონი მუშა ხელი დაუბრუნდა სოფლის მეურნეობას. მოიხვნა და დაითესა სტიქიით გამოფიტულ მინდორ-ველები. ყოველივე ამან მოგვცა თვალსაჩინო რეზულტატი—უხვი მოსავალი. მოსავალის სიუხვემ ძალზე გააძლიერა საბჭოთა ფედერაციის ხერხემალზე გაჭიმული ეკონომიური ძარღვები.

ფინანსიურ გაჯანსაღების ფაქტიც აშკარაა ყველასათვის. რუსულ მანეთის სტაბილიზაცია მორიგ საქმედ სდგას. სახელმწიფო ბიუჯეტი ნაკლებ ქანაობას განიცდის. ემისია შემცირდა. შემოსავალი გადიდდა. მშრომელ მასსებზე გადასახადების გაწერა თითქმის მოისპო წინა დღეებთან შედარებით.

ამ რიგად, საბჭოთა ქვეყნების ეკონომიური ევოლიუცია გიგანტიურ ნაბიჯებით მიექანება. უამრავი სტატისტიკური მასალები, თვით ცხოვრების რეალობა ადასტურებს ამას.

პოლიტიკურ ცხოვრების მოვლენათა რგოლებსაც საყურადღებო მომენტები მიემატა. ყველაზე უმთავრესი მომენტია—საბჭოთა ფედერაციის ჩამოყალიბება. სოციალისტური რესპუბლიკები ძმურ კავშირს ქმნიან, ერთდებიან საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგზე. ბურჟუაზიულ მსოფლიოს დაუპირისპირდა ისტორიულ ცხოვრებაში არნახული გიგანტი ფედერაცია, რევოლიუციონურ ძალების კონგლომერატი. კაპიტალის შემოტევამ გამოიწვია მებრძოლ რიგების მობილიზაცია. საბჭოთა რესპუბლიკები დასდგა საერთო დროშის—ფედერაციის ქვეშ. ეს დიადი მოვლენაა რევოლიუციონური ფრონტის წიაღში აღმოცენებული. იგი უსათუოდ გაასკეცებს ძველ სამყაროსთან საბრძოლველ ენერგიას. რევოლიუციის კოკონს გააძლიერებს.

კონფერენცია—თათბირების კონცერტებში საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა საბჭოთა რესპუბლიკების როლი. პროლეტარულ დიპლომატები ვერ ააცდინა წითელ ხაზს კაპიტალის მაგნატებმა. რეაქციონურ მსოფლიომ იგრძნო საბჭოთა ფედერაციის მძიმე გავლენა. დიპლომატიურ ჭიდილში არც ერთი ადლით უკან არ დაუხევია რევოლიუციონურ რუსეთის მუშათა კლასს. მან გასცა გადაჭრილი და პირდაპირი პასუხი კლასიურ მოპირდაპირეებს.

საბჭოთა რუსეთმა ბოლო მოუღო შინაურ კონტრევოლიუციას. საბოლოოდ ნათელი გახდა ანტირევოლიუციონური მოძრაობის ლიკვიდაცია. და ბოლოს, შეუძლებელია ერთი გარემოების აღუნიშვნელობა. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის სოვეტიზაცია უეჭველად დიდი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური აქტია. საბჭოთა რესპუბლიკების მწკვრივებს კიდევ ერთი რესპუბლიკა მიემატა. ამ მოვლენის ცხოველმყოფელობა უფრო საგრძნობია საზღვარ პოლიტიკის სფეროში. რევოლიუციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე რევოლიუციონურ ქვეყვნების ტერიტორიულ გაფართოებას.

რევოლიუციონური ფრონტი გამთლიანდა. გაძლიერდა სოციალისტური იდეების მატარებელი ძალები სინთეტიურ მთლიანობაში მოქცევით საერთო ინტერესების რეალიზაციის საქმეში. ყოველივე ეს აშკარაა და ნათელი საბჭოთა ფედერაციის მტრებისათვის კი.

საბჭოთა ქვეყნების ეკონომიური, ფინანსიური და პოლიტიკური წარმატება სიკვდილის ჟრუანტელსა ჰგვრის დიდტანიან კაპიტალისტურ სახელმწიფოებს.

გ. მუშიშვილი

(შემდეგი იქნება)

ᲣᲧᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲛᲣᲨᲐᲛ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲝᲡ ᲒᲐᲖ. „ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ“.

იმიტომ, რომ „ტრიბუნა“ ერთგულად იცავს მშრომელთა ინტერესებს, მათ ბატონობას და მათ სამართლიან მოთხოვნილებებს.

გარდა ამისა „ტრიბუნა“ აწარმოებს მიუდგომელ კრიტიკას, მოურიდებლად ამხელს დიდს და პატარას, რაც აუცილებელია საბჭოთა სისტემის გაჯანსაღება-განმტკიცებისათვის. ამ მიზნით „ტრიბუნა“ ებრძვის არა მარტო აშკარა და მალულ მტრებს მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა, ის ამხელს აგრეთვე ერთგულთა სისუსტ-შეცდომებსაც.

ასეთი გაზეთის არსებობა ამტკიცებს, რომ საბჭოთა სისტემა არ სპობს პრესის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლებას ბოროტად არ მოიხმარებენ და მშრომელთა ბატონობის წინააღმდეგ არ მიმართავენ.

ყოველი შეგნებული მუშა და გლეხი დაინტერესებული უნდა იყოს ასეთი გაზეთის არსებობით: თითონაც უნდა გამოიწეროს გაზ. „ტრიბუნა“ და სხვებსაც ურჩიოს, გამოაწერინოს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲓᲒᲠᲐ.

მოსკოვი. 30 დეკ. გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობით ანგორის მთავრობა პრინციპიალურად დაეთანხმა ამერიკელების წინადადებას ანატოლიაში რკინის გზის გაყვანის შესახებ.

ანტი-იტალიური დემონსტრაცია ტიროლში.

რომი. 30 დეკ. იტალიის გაზეთები იტყობინებიან, რომ ზემო ადიჯეს იტალიასთან შეერთების სამი წლის თავზე ინსაბურგში გაიმართა დიდი დემონსტრაციები იტალიელების წინააღმდეგ. დილიდანვე ყველა მაღაზიები დაკეტილი იყო. საცხოვრებელ სახლების ფანჯრებში გამოჩნდა სამგლოვიარო დროშები. სწავლა შეწყდა და მოწაფეები დათხოვნილი იყვნენ. მიტინგებზე, რომლებსაც აუარებელი ხალხი ესწრებოდა, ორატორები ლაპარაკობდენ იტალიაში გერმანელების მდგომარეობის შესახებ. ხალხი მღეროდა გოფერის და „დეიტშლანდეტის იუმერალეს“ ჰიმნებს.

გაფიცვები პოლონეთში.

ვარშავა. 30 დეკ. „რეჩ პოსპოლიტეს“ ცნობით პოლონეთის შრომის და სოციალურ დაზღვევის მინისტრი, ლოდზის მანუფაქტურის ფაბრიკების გაფიცულ მუშებთან უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, გაემგზავრა კატოვიცში მწარმოებლებთან მოსალაპარაკებლად ზემო სილეზიის ქვა-ნახშირის მრეწველობის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ გაფიცვის თავიდან აშორების მიზნით.

კომუნისტების დევნა პოლონეთში.

ვარშავა. 30 დეკ. გაზ. „რეჩ პოსპოლიტე“ იტყობინება, რომ ლოდზის საოლქო სასამართლომ სტეფანია კალინოვსკაიას მუშებს შორის კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებისათვის, გადაუწყვიტა 5 წლის კატორღა.

რუსეთის მაზუთი ჰუნგრეთში.

მალანი. 30 დეკ. „პიკოლო დელა სერა“ იტყობინება: რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკების შედეგად ჰუნგრეთმა შეიძინა რამოდენიმე ასი ვაგონი კავკასიის მაზუთისა ჰუნგრეთის შაქრის ქარხნებისათვის. მაზუთი გადატანილ იქნება თავის ადგილზე ერთი თვის განმავლობაში მარშრუტით შავი ზღვა—ფიუმე.

დომბალი—საპატიო წითელარმიელი

ვარშავა. 30 დეკ. „კურიერ პორანი“ იტყობინება, რომ პოლონეთის კომუნისტების ბელადმა დომბალმა, რომელსაც გადაწყვეტილი ქონდა დატუსაღება, მიიღო „საპატიო წითელ არმიელის“ წოდება ,რომელიც მას უძღვნა უკრაინის სანაპირო რაზმის პირველი დივიიის მე-8-ე ბატალიონმა.

ეროვნული მოძრაობა ეგვიპტეში.

პარიზი. 30 დეკ. „მატენი“ იტყობინება, რომ ეგვიპტეში, მიუხედავად იმ ზომებისა, რომელსაც ადგილობრივი მთავრობა ღებულობს, კვლავ იმართება სახალხო დემონსტრაციები ქემალისტების სასარგებლოდ: მოხეტიალე ტომებიც კი, რომელნიც განმარტოვებული ცხოვრობენ, იღებენ მონაწილეობას ამ საერთო სიხარულში და გამოხატავენ თავის კმაყოფილებას მისალმებების გაგზავნით.

პროფინტერთან შეერთება.

მოსკოვი. 30 დეკ. რენის დეპარტამენტის პროფკავშირთა გაერთიანებულმა კონგრესმა მოიწონა შრომის უნიტარულ კონ-ფედერაციის შეერთება პროფინტერთან.

ბრიტანეთის კომპარტიაში.

მოსკოვი. 30 დეკ. მემარჯვენეთა გაზეთი „მორნინგ პოსტი“ აქვეყნებს რა ბრიტანეთის კომპარტიის მოხსენებას ოქტომბრის ყრილობაზე, ფიქრობს, რომ კომუნისტურმა პარტიამ გავლენა მოიპოვა მუშათა კლასზე. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს არის ყველაზე უფრო საშიშარი შეთქმულება, რომელიც ასე რიგათ არასოდეს არ დამუქრებია საზოგადოებას.

ბრიტანეთის იმპერიის საფრთხე

მოთვოვი 30 დეკ. გაზ. „მორნინგ პოსტში“ მოთავსებულ წერილში ერთ-ერთი დიდი ინგლისელი მემამულე ეიდენგაბი მოითხოვს მთავრობის მიერ ფორმალურ კვლევა-ძიების დანიშვნას რევოლიუცსონურ მოძრაობის გამო, რომელიც მოსპობით ემუქრება ბრიტანეთის იმპერიას.

ფაშიზმი საფრანგეთში

პარიზი. პარიზში დაარსდა ფაშისტების მომხრეთა სექცია, რომლის ლოზუნგია საფრანგეთში მყოფ იტალიელების დაცვა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა

მოსკოვი. 30 დეკ. კრემლის სასახლეში გაიმართა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პირველი სხდომა. არჩეულია პრეზიდიუმი ამხ. კალინინის, სტალინის, კამენევის, რიკოვის, ცურიუპასი, ტომსკის, სოფრონოვის, ენუქიძის, კურსკის, რუძუტაკის, სინდევიჩის ანდრეევასი, იაკოვენკოს, სმირნოვის და ლოდირალიევის შემადგენლობით. ც. ა. კ. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია ამხ. კალინინი, მდივნად-სოფრონოვი; დამტკიცებულია სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვ-ლენინი, თავმჯდომარეს მოადგილენი—რიკოვი, ცურიუპა და კამენევი; გარეშე საქმეთა სახ. კომისარი—ჩიჩერინი, სამხედრო საზღვაო სახ. კომისარი—ტროცკი; შინაგან საქმეთა სახ. კომის.—ბერჟინსკი, განათ. სახ. კომ.—ლუნაჩარსკი, ჯანმრთ. სახ. კომ.—სემაშკო, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომ.—ცურიუპა ეროვნებათა სახალხო კომ.—სტალინი; ფინანსთა სახ. კომ.—სოკოლნიკოვი; მიწადმოქ. სახ. კომ.—იაკოვენკოვი, სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს თავმჯ.—ბოგდანოვი, სასურ. სახ. კომისარი—ბრიუხანო, საგარეო ვაჭრ. სახ. კომისარი—კრასინი, გზათა სახ. კომისარი—ბებეინსკი, სოკ. უზრუნველყოფის სახ. კომ.—მილიუტინი, შრომის სახ. კომ.—შვიტე ფ.-ტელეგრ. სახ. კომ.—დემგალოვსკი, იუსტიციის სახ. კომისარი—კურსკი, რესპუბლიკის პროკურორად დამტკიცებულია კურსკი.

ᲐᲥᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

— **ცვლილება სამოქალაქო გადასახადის დადგენილებაში.** სამოქალაქო გადასახადის დადგენილებაში შეტანილია შემდეგი ცვლილება:

ა) მუშა-მოსამსახურენი (პროფ. კავ. წევრნი). აგრედვე სამხედრო მოსამსახურენი, რომელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი 3 მილიონამდე მიიღეს,—სრულიად განთავისუფლებული არიან სამოქალაქო გადასახადისაგან;

ბ) მუშა-მოსამსახურენი (პროფ. კავშ. წევრნი,) აგრედვე სამხედრო მოსამსახურენი რომელთაც 1922 წლის დეკემბერში მიიღეს შრომის სასყიდლად სამი მილიონიდან—ხუთ მილიონამდე, გადაიხდიან ორმოცდა ათ კაპ. ოქროთი,

გ) მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც 1922 წ. დეკემბერში შრომის სასყიდელი 5 მილ. მეტი მიიღეს, გადაიხდიან 1 მან. ოქროთი.

შენიშვნა: პირველი მუხლის ბ. პუნქტში აღნიშნული პირნი განთავისუფლებულ არიან მათი ოჯახის წევრთა გადასახადისაგან, უკეთუ ამ უკანასკნელთ არავითარი შემოსავალი არა აქვთ და იმყოფებიან პირველთა რჩენაზე.

— **სახ. სასურ. კომის. ფუნქციების გადაცემა მომხმ. კოოპერაციაზე.** როგორც ვიცით, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასკომის დადგენილებით სახალხო სასურსათო კომისარიატისთვის დაკისრებული ფუნქციები ადგილებში, სახელდობრ სასურსათო პროდუქტების დამზადება, განაწილება და სასურსათო გადასახადის აკრება ადგილობრივ [illegible] კომუნალურ ორგანოებს უნდა გადაეცეს. ამ რეორგანიზაციის თანდათანობით განხორციელებისა [illegible] რებული აქვს სახალხო სასურსათო კომისარიატს, რომელმაც უკვე დაუგზავნა სამაზრო სასურსათო კომისრებს ცირკულიარი და წინადადება მისცა წარმოუდგინონ კომისარიატს შემდეგი თავისი მოსაზრებანი: შესაძლოა თუ არა მაოს მაზრაში სახ. სასურკომის ადგილობრივ ფუნქციათა გადაცემა, მასთან როგორ ფუნქციებისა და რომელ საკოოპერაც ორგანიზაციაზე, როდის და რამდენ ხნის განმავლობაში შესაძლო ამ ფუ ციების გადაცემა. ამავე ცირკულიარ ნათქვამია, რომ წლევანდელ სასურსა გადასახადისა და შარშანდელ ნარჩე აკრება უნდა დამთავრდეს არსებულ რატის მიერ.

გადასახადი. ქალაქის აღმასკო დაადგინა თანახმად გადასახადთა დ ლების მე-13 მუხლის 17 და 26 ცისა შემოღებულ იქნეს ქალაქ ტფილ სში, აღმასკომის სასარგებლოდ, სახ ხო ნოტარიუსის საშუალებით შემო ბულ იქნეს შემდეგი გადასახადები: სხვა და სხვა აქტებზე და გადასახა ბის მოთხოვნაზე 25 პროც. რაოდ ბით, 2) უძრავ ქონების ტრიალზე, მულის გადაცემის საბუთის შედგ დროს შემდეგი რაოდენობით: თუ ნ ლი გაიყიდა 10 მილიონამდე 1 პრ 20 მილიონამდე 2 პროც. 30 მილ—დ 3 პროც. 40 მილ—დ და ზევით—5 პრო. ამ საკითხის შესახებ პრეზიდიუმს დაევალა შესაფერისი სავალდებულო დადგენილების გამოცემა ახლო ხანში.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

დღეს დილის 10 საათზე ც. კლუბში დანიშნულია ახალგაზდათა კავშირის გამგეობის სხდომა. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ს. ს. რ. მეცნიერულ დაწესებულებათა სამმართველო დაარსდა მიმდინარე წელს აპრილის თვეში. მის გამგებლობაში არის: 1. საქართველოს მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა. 2. ფიზიკური ობსერვატორია 3. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი. 4. მთავარი არქივი. 5 რევოლიუციის მუზეუმი. 6. ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი. 7. სამხატვრო გალერეია. 8. ცენტრალური აკადემიური ბიბლიოთეკა 9. სამეგრელოს მუზეუმი (ზუგდიდში). 10. ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი. 11. საბჭოთა აღმშენებლობის მუზეუმი. 12. საასტორი-საეთნოგრაფიო საზოგადოება და 13. ტფილისის ბიბლიოგრაფიული საზოგადოება.

ამათვე უნდა მიერიცხოს სამეცნიერო დაწესებულებათა ფილიალები (განყოფილებები): 1. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის სამეცნიერო-არქეოლოგიური ინსტიტუტი. 2. მოსკოვის არქეოლოგ. საზოგადოების კავკასიის განყოფილება. 3. კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოება.

ქვემოდ მოყვანილია იმ სამუშაოს სქემატიური ანგარიში, რომელიც შეასრულეს ამ დაწესებულებებმა საქართველოს გასაბჭოების დღიდან.

საქართველოს მუზეუმი

(1920—22)

გარდამავალ ხანის დროს (1918 წ.) მუზეუმის ადმინისტრაციის მუშაობა გამოიხატა უმთავრესად შტატის შესანახ და მუზეუმის მეცნიერულ და სამეურნეო დარგებისათვის საჭირო საარსებო საშუალებათა გამონახვაში.

დირექცია გაეცნო რა დაახლოებით მუზეუმის საქმეთა ვითარებას, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ძვირფას კოლექციების სისტემატიზაციის და შენახვის საქმე სრულებით ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ასე, მაგ. ენტომოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგის და ეთნოგრაფიის მასალები ოთხ უკანასკნელ წლის განმავლობაში მეტად იშვიათად ტარდებოდენ სადეზინფექციო კამერაში; სპირტის მასალა ხომ სულ უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა; ლაბორატორიის ბიბლიოთეკაში ზოგიერთ წიგნებს სულ არ ჰქონდა მუზეუმის ბეჭედი, ზოგიერთი კი არ იყო შეტანილი სიაშიც. დაუყოვნებლივ გამომუშავებული იქმნა ყველა განყოფილებებისათვის მუშაობის გეგმა ასეთ უწესრიგობის აღსაკვეთად.

მუშაობის მთელი სურათის ნათლად წარმოსადგენად აუცილებელია მუზეუმის ცალკე განყოფილებათა მოღვაწეობის მოკლე განხილვა.

გეოლოგიური განყოფილება.

მინერალოგ. ა. თვალჭრელიძემ მოიყვანა წესრიგში დანის სისტემით მთე-

ჩვენ

ჩვენ ცხოვრების ასპარეზზე ვეძებთ ბრძოლის ხაზებს;
ჩვენ ცხოვრების ბნელ ბილიკზე ვანთებთ ცეცხლის ალებს,
და ჩვენ ვსტკბებით, რომ ეს ალი არეს ალამაზებს,
სწვავს წყვდიადის სიყომრალეს, ციმციმებს, ციალებს...
ჩვენ ამ ქვეყნად როს ვიხილეთ ბოროტების ბუდე
და სამყარო დავინახეთ გაყოფილი ორად;
და მათ შორის აღმართული ვნახეთ მტრობის ზღუდე,
ჩვენი ჰანგი გარდავქმენით ბრძოლის მეტეორად...
ჩვენ მარად იქ ვიმყოფებით, სადაც ტანჯვა არის,
ტანჯულ მოძმეთ მოუწოდებთ, ცეცხლურ მოწოდებით...
ჩვენ წევრნი ვართ შრომის ქვეყნის, წევრნი მაშვრალთ ჯარის,
ჩვენ ან ერთად გავიმარჯვებთ ან ერთად გავწყდებით,
ჩვენ მივდივართ წინ... და უკან ვსტოვებთ მძიმე კვალებს...
ჩვენ ძველ ქვეყნის ძველ ზღუდეებს ვანგრევთ, ვანიავებთ...
ჩვენ სიკვდილი უკან დაგვდევს, მარად გვითვალთვალებს,
სანამ განვლით ბობოქარ გზას, ბრძოლას გავათავებთ.
ბაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს, ჩვენ, ბრძოლისა შვილებს:
ერთის დაკარგვა ჩვენ რაზმებს ჰმატებს ათას გმირებს,
და ახალ ძალით სავსე ვამსხვრევთ ხუნდ-ბორკილებს...
აწ ძველ ქვეყნის სიორგულე ჩვენ ვერ აგვატირებს...
და წინ წავალთ, წინ, მარად წინ, ბრძოლით აღმაფრენით,
ძველ ქვეყანას წაუკიდებთ ჩვენ ცეცხლისა ალებს
და ძლიერნი ერთის გრძნობით, ერთიანი რწმენით,
მთელ ქვეყანას შემოვავლებთ ბრძოლის ცეცხლის კვალებს.
და დავთრგუნავთ სიწყვდიადეს: ძველ ცხოვრების ზღუდეს...
ჩვენ შეუქმნით მთელ სამყაროს ნორჩს და ახალ ძალებს;
ჩვენ აღმოვფხვრით შურს და მტრობას, ბოროტების ბუდეს,
შევქმნით ქვეყნად ახალ აზრებს ახალ იდეალებს...
ჩვენ ქვეყანას მოვევლინეთ წითელ დროშით ხელში
და დავუფრთხეთ ამით ძილი კერპს ბნელეთის მპყრობელს...
ჩვენ ვიყავით სუსტნი, მაგრამ დღეს გავსწორდით წელში
და სამყაროს ძველს უცხადებთ ბრძოლას დაუნდობელს.

ი. შრომიშვილი.

მოგზაურობა თბილ სისაკენ

ცა მოსჩანს, როგორც შიშველი სარკე:
მივალ, ვიგონებ გაფრენილ წამებს.
ჩემი გზა მიდის სამარისაკენ
და ნაპრალებთან წევს შავი ღამე.

ვამჩნევ ნათლდება მთის მწვერვალები
და მოდის მთვარე როგორც პრინცესა,
მე ისევ შენთან მოვალ წვალებით
და მანუგეშე, ძვირფასო, დღესაც.

ვფიქრობ და მთებზე გამოჩნდა ნისლი.
დადგა სიჩუმის უხმო წუთები.
ეს მოგონება ელავს თბილისით:
დღეს ვნახავ თბილისს და შეეწუხდები.

ასეთი დარდი არ მახსოვს დღემდე.
ო, როგორ მორბის ლანდი სიკვდილის.
მოვდივარ—ერთი საათის შემდეგ
მე ისევ ვნახავ ჩემს მტანჯველ თბილისს.

ტერენტი გრანელი.

ზუგდიდი

ღამემ მოსტაცა გზაფხულზე მკარეს საცოლე,
აქ საკაძის ხმალს უჩნდება სისხლი ზამთრობით,
მოგონებებით აივსება ჩემი საწოლი;
ვარდან დადიან მოდის როგორც ბრმა მიზანტროპი.

სიდუს თვალებზე ჩამოშრება ცრემლი და თხოვნა
თუ გეგეჭკორი გადაიტანს მეფის მიქარვას.
და დიდ გოგია კალანდიას გაყვება ხსოვნა,
რადგანაც მეფედ აცხადებენ გიორგ მიქავას.

მაცი ხვიტია წყევის ლანდზე შურს ვერ იძიებს.
(კარგია როცა მიჯნურს ცხელა ცაცხვის გრილოში.)
გაფრინდაშვილი თუ მოგვტაცებს ჩვენ აშორდიებს
მაინც დენდობას ვერვინ მოისპობს სამეგრელოში.

ეი თქვენ ფარდა!.. დღეს ლანდები ცეკვით მოდიან!..
ზუგდიდის გულში სხვა გულია ჩაუხედველი.
ლელის გრძნობაში იუდა და ეშაფოტია
ო, ინახულეთ ჯვარს გაკრული პეტრე ხეთელი.

პ. ხეთელი.

ახალ წელს.

მე ღამეები ცრემლში ვათენე,
და ფსალმუნები ვწერე წამების,
სული ერთ წუთით ვერ დავასვენე,
და შემზარავი მესმოდა ხმები.

ახალო წელო, რას მომცემ ნეტავ,
მე შებრალებას არვის ვსთხოვ, მგზავრი,
არ შეწუხდება მშობელი დედაც,
შორს დაკარგული შვილისა ჯავრით.

ევგენი სიდოშვილი.

ლი მინეროლოგიური მასალა. პეტროგრაფ. გ. სმირნოვმა შეადგინა კავკასიის ყველა მთის მადნეულის (რაც კი იმყოფება განყოფილებაში). პეტროგრაფიული კოლექცია დამზადებული იქნა რამოდენიმე ათასი შლიფი. გეოლოგ ნ. ყიფიანმა დაიმუშავა და მოაწესრიგა ლაზისტანის, გურიის, სვანეთის საჩინოს და ჭიათურის ვრცელი კოლექციები. ა. თვალჭრელიძემ გაამზადა დასაბეჭდათ: „ტფილისის მიდამოების მინერალები". გ. სმირნოვმა უკვე გადასცა დასაბეჭდათ— „ბორჩალოს პეტროგრაფია". ნ. ყიფიანმა დაბეჭდა „დასავლეთ საქართველოს გეოლოგიის მასალები" და დაამზადა დასაბეჭდათ: „ლაზისტანის გეოლოგია". „ტფილისის მიდამოების გეოლოგია", „სამხრეთ სვანეთის პეტროგრაფია", „საჩინოს გეოლოგიური აღწერა". განყოფილების თანამშრომლებმა მოახდინეს შემდეგი ექსპერდიციები: აჭარა-გურიის ულელტეხილზე (დაყვეს 1 თვე). ამ ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს ნ. ყიფიანმა, ა. თვალჭრელიძემ და გ. სმირნოვმა. მოწყობილი იყო აგრეთვე ხუთმეტი პატარა ექსკურსია ტფილისის მიდამოებში. ნ. ყიფიანმა მოაწყო დიდი ექსპედიცია საჩინოში, სადაც დაჰყო 2 თვე.

ამ რიგად განყოფილებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს რეგიონალურ გეოლოგიის შესწავლის საქმეს. ამ მეთოდიურ ექსკურსიებმა და ექსპედიციებმა შესძინეს განყოფილებას უმდიდრესი პალეონტოლოგიური, პეტროგრაფიული და მინერალოგიური კოლექციები, რომლებიც ნაწილობრივ უკვე დამუშავებულიც არის, ხოლო დანარჩენებზე მუშაობენ განყოფილების თანამშრომლები. განყოფილებაში მუშაობდენ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები პრაქტიკანტებათ. განყოფილებას ხშირად მიმართავდნენ ხოლმე გეოლოგიის მოყვარულნი, სამთო-ინჟენერები ზოგიერთ ცნობებისათვის. ნ. ყიფიანმა საქართველოს მუზეუმის სახელით მოაწყო 18 საჯარო ექსკურსია ტფილისის მიდამოებში.

შემდეგი

ხელი შეუწყვეთ გაზეთის გავრცელებას!

გაზეთს შეაქვს ყველგან შეგნება და სინათლე. გაზეთი ყველაზედ უფრო იაფი და სწრაფი საშუალებაა ცოდნისა და შეგნების გასავრცელებლად.

გაზეთი ებრძვის უმეცრებას, ცრუმორწმუნოებას, ხალხის სიბნელეს.

გაზეთს მოაქვს ამბავი დედამიწის ყველა კუთხიდან.

ვინც გაზეთს არ კითხულობს, ის, ჩამორჩენილია, არაფერი იცის რა ხდება ჩვენში, ან სხვაგან და ჭორებით იკვებება.

გაზეთს უნდა კითხულობდეს ყველა, ვინც კითხვა იცის.

გაზეთს უნდა აწვდიდეს სწორ ცნობებს ჩვენი ცხოვრებიდან, ვისაც ეს შეუძლია.

გაზეთი „ტრიბუნა" ემსახურება ქართველ მშრომელ ხალხს, მუშებს და გლეხებს, იცავს მათ ინტერესებს, იბრძვის მათ საკეთილდღეოდ, შეაქვს მათში სწორი და საღი შეგნება.

მაშ გამოიწერეთ გაზეთი „ტრიბუნა" და ხელი შეუწყვეთ მის გავრცელებას.

ცის ძახილი

ცის ლაჟვარდი დავიმონე, დავიმონე ვარსკვლავთ ჯარი
და ჩემს ქნარზე გადავხლართე ტკბილ სიზმრების ლურჯი ქარი...
მიწის სუნთქვა ღრუბლებს სერავს და მზის სხივებს ათამაშებს,
და მღერიან ნიავები სასიცოცხლო უკვდავ მარშებს!
მიწას ათრობს მზის თამაში და ყვავილთა რხევა წყნარი,
დი მისცურავს ლურჯ ეთერში ლტოლვით სავსე, ფრთა—მედგარი,
ცის ლაჟვარდში დავსრიალებ, დავიმონე ვარსკვლავთ ჯარი,
გატაცებით ავაჟღერე მზის სხივებით მთვრალი ქნარი;
სალამს უძღვნი ნაზ ვარსკვლავებს, ცის სივრცეში მიმობნეულს,
სალამს უძღვნი მორცხვ ყვავილებს, მიწის მკერდზე გაღიმებულს!
სალამს უძღვნი მთელს ქვეყანას, ბრძოლის ცეცხლით აელვებულს,
მარად უკვდავს, მარად მფეთქავს და მიზნისკენ გაქანებულს!
მიწის მწვანე მკერდი ღელავს და მაისიც ღელავს ასე:
ცაში მთვარე მისრიალებს—სილამაზით არის სავსე.
ანგელოსთა დასი მღერის ტკბილს და უკვდავ საგალობელს,
ნიავს სძინავს ხეივანში, სძინავს ვნებით დამთვრალ სოფელს!
მახსოვს, ერთხელ ლურჯ ეთერში ყმაწვილურად ვსრიალებდი.
ვარსკვლავების ფერ მქრთალ სიცილს გატაცებით უყურებდი
და უეცრად, წარმტაც ხმებით ღვთიურ ცეცხლით შემოსილი,
ვარსკვლავთ შორის მოსრიალეს შემომესმა ცის ძახილი:
მიწის-ძე ხარ! და შავ სიკვდილს ვერავინ ვერ გადაურჩება!
სიცოცხლე ხომ ძიებაა და მარადის ის დარჩება!
მიწის-ძე ხარ, მაგრამ სული გაქვს უსაზღვრო და ციური,
გხიბლავს მთვარე და ცვარ-ნამი ყვავილებზე დანაპკური.
შეიყვარე, ვინც ქვეყნის ბედს მის სურვილზე ატრიალებს,
ვინც მარადის იბრძვის, შრომობს, ვინც ხსნის დროშას აფრიალებს:
და ვინც ბრძოლის სიმღერებით სიცოცხლესთან ამბამს ძაფებს,
შეიყვარე შენ ის ხალხი,—სხვა ვერავინ დაგაფასებს!
და ვაშა მას, ვისაც მარად ბრძოლის ცეცხლი უმღერს გულში,
და ვაშა მას, ვინც სიცოცხლეს დალევს ამგვარ სიყვარულში!
... და მე ამ ხმებს შეუერთდი ბრძოლის ცეცხლით ანთებული,
გზას მინათებს და სულს მითრობს მომავალი გაზაფხული!
ცის ძახილი, ცეცხლის ხმები გულში ერთად მოვათავსე:
წინ სხვა მხარე დავინახე, ბრძოლით მთვრალი ვმღერი ასე:
ცის ლაჟვარდი დავიმონე, დავიმონე ვარსკვლავთ ჯარი,
ავაჟღერე გატაცებით, მზის სხივებით მთვრალი ქნარი;
შევიყვარე მე ის ხალხი, ვინც ქვეყნის ბედს ატრიალებს,
ვინც ქვეყანას აშენებს და ვინც ხსნის დროშას აფრიალებს!
და ვაშა მას, ვინც ატარებს ბრძოლის ცეცხლსა სპეტაკ გულით,
და ვაშა მას, ვინც სიცოცხლეს დალევს ამგვარ სიყვარულით!..

1922 წ. მაისი.

დ. კობიძე (ივანიშვილი)

განწირული

მაისი იყო. მადლიანი მხარე თავის სხივებს უხვათ აფენდა არე მარეს. სიცხის ალმური დამდგარიყო ქალაქის ქუჩებში. ეს პაპანაქი სიცხე გამვლელ ხალხს ერეკება ხოლმე ქვა-ფენილის იმ მხარეს, სადაც შენობების, თუ ხეების მეოხებით. მზის მწველ სხივებს საზღვარი აქვს დადებული. ფიქრთა მორევში მოტივტივე სიცხისაგან დათენთილი, მივდივარ, სხვათა შორის, პლეხანოვის პროსპექტზე. ქუჩის ერთ ადგილს თვალი მოვჰკარი შეჯგუფებულ ხალხს.

ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და მიუახლოვდი იმათ. საწყალი, მგონი, ავად არის,—წარმოსთქვა ერთმა.—ავად კი არა, ალბად ჰშიან,—უპასუხა უცნაურის კილოთი, თითქო გაჯავრებულმა, მეორემ. ერთი ახალგაზრდა ვაჟი წყალს ასხურებდა შუბლზე და გულზე საცოდავ ცხოვრებისაგან განწირულ მიწაზე განრთხმულ, დაახლოებით, ოცი წლის ბიჭის, რომელსაც საზარლად დაელმიჯა სახე და საცოდავად გამოიყურებოდა. ითხოვდა შველას მაგრამ პატრონს ვერ ხედავდა და, ამის გამო, მისი დააწუხრებულნი თვალნი ასე მეტყველებდნენ: „წყეულიმც იყავ შენ, კაცობრიობავ, თუ ასეთი დაუნდობელი და გაუტანელი ხარ და, გულის ნაცვლად, ქვას ატარებ... ახალგაზრდა ვაჟის შემდეგ ყველაზე მეტ მზრუნველობას იჩენდა ერთი ვიღაც რუსის დედაკაცი.

— ვინ არის, სომეხია?—წარმოსთქვა ერთმა ახლად მოსულმა.

— ვინც უნდა იყოს, სულ ერთი არ არის?!—უპასუხა წყენით მეორემ. ეტყობოდა ქართველი იყო.

სომხური არავინ იცით?! — განაგრძო იმანვე.

ერთი შავ-შავი კაცი მიუახლოვდა განწირულს დაიჩოქა და ჰკითხა ვინაობა და მდგომარეობა იმისი.

გამოირკვა შემდეგი: საცოდავი ალექსანდრეპოლიდან ჩამოსულიყო საქმის საძებრად, მაგრამ, ნაცვლად ამისა, ამ მისთვის უცხო ქვეყანაში ხუთი დღის სიმშილის შემდეგ, სიკვდილის აჩრდილი იხილა. ერთმა ქართველმა მანდილოსანმა ბოუტანა რძე და თეთრი პური, მაგრამ, სისუსტის გამო, პური ველარ შეჭამა, ხოლო რძე ძლივს დაალევინეს რის შემდეგაც, როგორც თვითონ წარმოსთქვა სიცხე ცოტა გაუნელდა გულ-მუცელში.

— რაღას დასჩერებიხარ, მოჭკიდე ხელი და წაიყვანე სახლში, ამუშაგე და გასარგებლებს: ოლონდ პური აჭამე,—უთხრეს ერთ ცოტა რიგიანად ჩაცმულს.

— მე თვითონ ნახევარჯერ სიმშილს განვიცდი, ჩემი თავიც ვერ შემინახავს და ეგ როგორ შევინახო?

ოხ, ღმერთო ჩემო! როგორ დაეცა ისედაც დაცემული ადამიანის პიროვნება, ნუ თუ ადამიანი იმდენ ღირებულებას აღარ წარმოადგენს, რომ პურის ფასიც ვერ იშოვეს?!—წარმოსთქვა რა ეს, ჩაიქნია ხელი, გადააქნ-გამოაქანა თავი ვიღაც გამვლელმა და გაუდგა თავის გზას. რუსის დედაკაცმა მოიხმარა სხვებიც და ჭშიერი ავადმყოფი მზის მწველ შუქს მოაშორა და იქვე ხის ქვეშ ჩრდილში დააწვინა, ხოლო გამვლელ-გამოვლელნი, როდესაც ხედავდნენ ამ საზარელ შემაძრწუნებელ და მათთვის სამარცხვინო სურათს, ზოგი სიბრალულით თავს გადააქნევ-გადმოაქნევდა, ზოგიც ხელებს ჩაიქნევდა, ხოლო უმრავლესობა კი ისე გაივლიდა, რომ სრულებით არც კი აქცევდა ყურადღებას, მხოლოდ მაისის შუა დღის მხურვალე მზე თანდათან ამძიმებდა სიცხისაგან ისედაც გახურებულ ქურას.

ვარლამ ჩლაიძე.

საახალწლო მილოცვები

მთავარ სახელოვნო კომიტეტს

განა მიტომ [illegible] სახელოვნო [illegible] რომ არაფერი [illegible] იუბილეების მეტი?

სახელმწიფო დრამის არტისტებს

თუ თქვენა გსურთ გაანათოდ
სცენა დათალხული ბინდით,
თუ გსურთ სახელი და ქება,
მარჯანიშვილს ჩააფრინდით.
შეეხვეწეთ, დაემუქრედ,
მოეფერეთ, შეაშინეთ,
ნულარ წავა ის იკმაროს.
რომ დეზერტირობდა წინეთ.

—

ი. ნიკოლაძეს

შენს იუბილეს დავაკლდი
მეტის-მეტად ვნანობ ამას,
ახალ წელიწადს გილოცავ
დაესწარი კიდევ სამასს.
მომწონს შენი ქანდაკება,
წერეთლის აკაკისა,
რუსთაველის პროსპექტს სწორედ
ამშვენებს და ამკობს ისა.

შალვა დადიანს

ჩვენ შენს იუბილეს ველით
სასიამოვნოა იგი,
თუ არ ვსცდები ნიკოლაძის
შემდეგ დადგა შენი რიგი.

მწერალთა ძველ კავშირს

მომწონს თქვენი ხუთშაბათი
სამშაბათებზეც ვიყავი,
მაგრამ კი გთხოვთ ფრიდრიხ ნიცშეს
დაანებეთ ძმებო თავი.

ახალ მწერლობის კავშირს

აბა ტყუილ რატომ ვიტყვი
ხომ არავინ მაძლევს ქირას
თქვენი საღამოებისთვის
მოუთმენლად ველი კვირას:

სახელმწიფო ოპერას.

ყველასათვის სასიამოთ
საამაყოთ ჩვენი ერის
ქართველი მომღერალებით
სავსეა სია ოპერის
თუმცა მშობლიურ ენაზე
იშვიათად ვინმე მღერის.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს

დაეწაფედ სწავლას ცოდნას
წინ ისწრაფედ თანთანა
არ შეშინდეთ, თუმცა „ჩისტკამ"
თქვენამდიაც მოატანა.

—

ბახტრიონს, ლომისს, ილიონს, ხომალდს გ. ტაბიძის ჟურნალს

სუბსიდია რადგან არ გაქვთ
რა ჩანაბა უნდა მოხრათ,
დაწევით განცხადებებს
არ დაზოგოთ ბეჭდეთ ოხრათ.

კ. მარჯანიშვილს

უაღრესად მოგვეწონა
ჩვენ „ფუენტე ოვეხუნა"
შენმა დადგმამ, სხვათა დადგმა
გააფასა გაახუნა.
მაგრამ მაინც არა გვჯერა
რომ გესმოდეს შენი ვალი,
ეხლაც უცხოეთისაკენ
არ გეჭიროს ორივ თვალი.

ალ. სუმბათაშვილს-იუჟინს.

შენი სახელი გაისმის რუსეთში
როგორც ყიჟინი.
ბავშვებიც კარგათ იციან,
თუ ვინ არის იუჟინი.
მაგრამ ქართული თეატრის
ბედი არ გაიზიარე,
შენს სამშობლოში ამ ბოლოს
შემთხვევით შემოიარე.

აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ დრამატიულ სტუდიას

თქვენი დიდი იმედი გვაქვს,
ვფიქრობთ გააცოცხლებთ დრამას.
მამულს იგი ურჩევნია,
თუ შვილი აჯობებს მამას.

პროლეტ. ასოციაციის მწერლებს

თქვენს სუბსიდიებს შენატრის,
სხვა პოეტები ყველანი.
სწერეთ ლექსები რად სდუმხართ,
ქაღალდი გაქვთ და მელანი.
თუ ხმატკბილად ვერ იმღერებთ
დაიჭექეთ ძმებო მკვახეთ,
ნუ თუ მუზა გაგებუტათ
და რითმები ველარ ნახეთ.

ახალ ფუტურისტებს

ფუტურისტები დაირქვით
სკანდალებსაც აწყობთ მარა,
[illegible]

ხელი შეუწყვეთ გაზეთის გავრცელებას!

გაზეთს შეაქვს ყველგან შეგნება და სინათლე. გაზეთი ყველაზედ უფრო იაფი და სწრაფი საშუალებაა ცოდნისა და შეგნების გასავრცელებლად.

გაზეთი ებრძვის უმეცრებას, ცრუმორწმუნოებას, ხალხის სიბნელეს.

გაზეთს მოაქვს ამბავი დედამიწის ყველა კუთხიდან.

ვინც გაზეთს არ კითხულობს, ის, ჩამორჩენილია, არაფერი იცის რა ხდება ჩვენში, ან სხვაგან და ჭორებით იკვებება.

გაზეთს უნდა კითხულობდეს ყველა, ვინც კითხვა იცის.

გაზეთს უნდა აწვდიდეს სწორ ცნობებს ჩვენი ცხოვრებიდან, ვისაც ეს შეუძლია.

გაზეთი „ტრიბუნა" ემსახურება ქართველ მშრომელ ხალხს, მუშებს და გლეხებს, იცავს მათ ინტერესებს, იბრძვის მათ საკეთილდღეოდ, შეაქვს მათში სწორი და საღი შეგნება.

მაშ გამოიწერეთ გაზეთი „ტრიბუნა" და ხელი შეუწყვეთ მის გავრცელებას.

საქმე მასში ხომ არ არის
დაირაზმოთ ვითა წერო,
ვისაც პოეტობა გინდა
უნდა იკითხო დასწერო.

ქ. ტფილისის აღმასკომს.

თქვენსა ამაგრებთ ბიუდჟეტებს
სხვა და სხვა გვარი მოგებით.
საქართველო გააკვირვეთ
ახალი ძალლნალოგებით.

სახელმწიფო გამომცემლობას

მარტოოდენ რუსეთიდან
მოსულ წიგნთა გასაღებით
საქართველოს ვერ აღჭურავთ
განათლების გასაღებით.
დამიჯერეთ რასაც ვამბობ
მართალია არა ჭორი,
გამომცემელი არ ქვიან
ვინც გამოსცა ერთი ორი.

სპეკულიანტებს

ვიცი არ გაგულისდებით
თქვენ ჩემი მონახსენებით,
თუ თავი თქვენ თან გახლავთ
ღარიბათ არ იხსენებით.

მაღალი.

საახალწლო გიუზინაყები

გრიგოლ რობაქიძეს!

ევროპის შუქით გაჟღენთილი
გრგვინვით, ყიჟინით,
აზიის ბჭეში შემოიჭერ ფილოსოფოსი
აახმაურე პოეზია სპარსული ქინით
და შეგვირყიე სუბსტანცია თავის
კოფოსი.
სალამი, მგოსანთ დიდო რაინდო!
მოსცხე ძველ მწერლებს, აღარ დაინდო.

ვალერიან გაფრინდაშვილს

მაჩაბელის სადიდებლად ააჟღერე
ჩანგი შენც და
ერთი წუთით გავიფიქრე: ვალერიანს
როგორ შეცდა—
პატრიოტულ განცდის ზღვაზე გაიკეთოს
ძანაც პორტი.
თუმც შეეყარა მის გამო მთვარეს ბნედა,
მზეს აბორტი.
შენი სიტყვა პოეტებში უცნაური
აკკორდია,
შენ ადიდე სამეგრელოს ბუმბერაზი
აშორდია;
ღვაწლი შენი ძლიერია, დააფასებს ამას
ხალხი
და „ორდენით“ გაბრწყინდება შენი
სახე—მუქი თალხი.

პაოლო იაშვილს

დავტოვე სოფელი
მყუდრო სამყოფელი—
ღვინის მარნები... სიმინდის ყანა
ვარჩიე ყვერულებს ბაქოს ტარნები
და პიტხავასთან დავდივარ მე სალახანა.
მიყვარს, ხარო, საცივი,
ღვინო, მუშტი და კრივი
[illegible]ყვარს ხარი, კურო ძოხვერი—
[illegible]გრამ კოწიას ოხტიდან ვერ გამოვძვერი
[illegible]ის ზურგსაც ხშირად აქვს მუშტი
ნახული
[illegible]ედა ჩამოდი ინახულე შენი ხახული.

ტიციან ტაბიძეს

[illegible]ორბად გასუქდი... შვილით ხარ
კმაყოფილი.
[illegible]აწუხებს ქუჩაში სიფილისი;
[illegible]ისკარ უალდის გაქვს ხაზი პროფილი
[illegible]ოლოს და ბოლოს გიყვარს თფილისი.

რაჟდენ გვეტაძეს

[illegible]ეფობით ჩვენ დღეს ვინ გაგვაკვირვებს?
[illegible]ველა მეფეა ვისაც კი უნდა
[illegible]ოლოდ არ ყავდა ჯერ მეფე ვირებს.
[illegible]ეგებ მეფობა მისთვის გახუნდა?)
[illegible]ვიოებო! დღენი აგირიქრაჟდენ
[illegible]მეფეთ დაგისვით გვეტაძე რაჟდენ.

ხაზა აბაშელს

[illegible]მორეული ნაპირი აღარ სჩანს აღარა —
[illegible]მორეული ნაპირი საერთოდ დ კერძოდ,
[illegible]ვშიშობ, რომ დამიჩლუნგდეს ძველი
დაფი-ხალარა,
[illegible]თუმცა პოეზიაში მე ვითელები ღერძად.
[illegible]მსურს ყველა იყოს დღეს ჩემი ქვისლი
[illegible]ს... ს.., ს... სისინებს სიო... შშშ-შრია-
ლებს ისლი.

ვარლამ რუხაძეს

ერთი საღამო როგორც იყო გავმარ-
თე წრეულს.
პოეზიაში მიფრქვევია ცრემლი ზღვაუ-
რი.—
[illegible]რა დაემართა საღამოზე იმ ტეატრს და
წყეულს
[illegible]რომ მორთო სტვენა, ყვირილი და აურ-
ზაური.

გალაკტიონ ტაბიძეს

უნუგეშო მხარეში, რესტორანის არე-
ში,
ღვინის სიმხურვალეში მეჭედება გენია.
[illegible]ძლიერ მოსაწყენია, ფხიზლად სთვალო
დღენია,
[illegible]გულის მომალხენია პოეტების თარეში...
[illegible]ლურჯა ცხენზე მჯდარია, ჩემი სულის
[illegible]რია.

საფო მგელაძეს

ვარ დეზდემონა, ვარ ოფელია
ბანძა დიდი სოფელია.

გიორგი ლეონიძეს

ლორის ჯიგარი. ხარის ფაშვი, ძროხის
ჯიქანი
თავადი გახლავართ, მიჭირავს ციხე;
ჩემი გაზეთი ყველასათვის მისაწდომია—
ტილის ფეხი, ორსული მზე.

ი. გრიშაშვილს

ჩემო მუზავ! რომ ეტრფოდი წინად
ფეხებს, გრძნეულ ტუჩებს,—
კვლავ ის ხანა დამიბრუნე, დარდებს იგი
დამიყუჩებს.
პატრიოტიზმს ვერ გაუძელ
„ჩეკამ“ მომდო ფეხქვეშ ხუნდი.
კოცნის მადავ! გევედრები: დამიბრუნდი..
დამიბრუნდი....

კოწია გამსახურდიას

მისტიკის სულში აელვარდა ნიცშეს
ზმანება;
დენდი მოეთე ავამღერეთ ქართული
სულით;
ელექტროს ღმერთი მეტაფორას დაემ-
გვანება,
თუ ჟამთა სრბოლამ არ გვატარა ისევ
წარსულით.

კოტე მაყაშვილს

ვარ თავმჯდომარე ყველგან, ყოველ-
თვის,
მუზა დავკარგე, აღარ მომელტვის.

თაგუნას

ნუ თუ ფეხის ტკივილი სიმბოლოა
მუზისა,
რომ ერთხელაც არა სთქვი ტრფობა
აშიკ ბუზისა,
არ დასწერე სტატია, არც ახსენე დუ-
ბეში;
თუ სწერ, სწერ და აგროვებ მთელ ნა-
წერებს უბეში.

ქუჩიშვილს

მუზა გამიქრა, მინდოდა ფული
უფულოდ მიწას დავენარცხები.
საღამო ჩაშალეს, გამიტყდა გული
ფულის მაგივრად მივიღე კვერცხები.

დონ ბაზილის.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

სახელმწიფო 1 კონსერვატორიის მოლვაწეობის შესახებ.

ამ დღეებში მე მომიხდა დავსწრებოდი მოწაფეთა **საღამოს** სახელმწიფო 1 კონსერვატორიაში. მე სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ პედაგოგიური ნაწილი თავის ჭეშმარიტ გზაზე სდგას. სჩანს გულმოდგინე მუშაობა დირექციისა ზაქარია ფალიაშვილის მეთაურობით. საბედნიეროთ, ყველა თავის საქმეს აკეთებს და თავისი მუშაობით არ შეაქვთ ნერვიულობა მეცადინეობაში. მე საშუალება არ მაქვს ცალ-ცალკე აღვნიშნო საღამოში მონაწილენი, რადგან მათი შესრულება არის მოწაფური და როგორც ასეთი დაჯილდოებულია დადებითი და უარყოფითი მხარეებით. მაინც ავღნიშნავ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტრუსკოვსკის, აისბერგის ვინოგრადოვის, კესნერის მოწაფეთაგან მიღებულს (საფორტეპიანო კლასი), აგრეთვე ვილშაუს. ლედნიკის (vinlino). ჯაყელი, ზელონია და რეშიმოვას მოწაფეთაგან (სიმღერა ერთის გამოკლებით, რომლის ხმა არც თუ ისე სასიამოენოა).

ჩინებული არის ვოკალურ ქართულ ანსაბლის კლასი—ზაქარია ფალიაშვილის და რუსული—ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. კარგია ხორო კუშნარიოვის ხელმძღვანელობით. დასასრულ უნდა აღვნიშნო რომ ზოგიერთი მასწავლებელი ისეთ პიესებს აძლევს მოწაფეთ, რომელსაც ისინი ვერ ერევიან.

პ. ბებუთოვი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ადგილი მისცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის მახლობელ ნომერში შემდეგს: სიძვირის გამო, დეკემბერში თითქმის ყველა დაწესებულებათა მუშებსა და მოსამსახურეთ მთავრობამ აღმოუჩინა, გარეშე ჯამაგირისა ერთდროული დახმარება. ყურადღების გარეშე დარჩა პენსიონერები. იმედია მთავრობა მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას და და აღმოუჩენს მათ რაიმე შემწეობას.

პატივ: **ივანე გძელიძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

დაკარგე სახ. უნ. მოც. სტ. მოწმობა გიორგი მგალობლიშვილის სახელზე. რასაც ვაცხადებ გაუქმებულად.
1—1 № 370

დაკარგე პირადობის მოწმობა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული. ჩაითვალოს გაუქმებულათ. აგრონომიულ ფაკულტეტის სტუდენტი სერგო ბესარიონის ძე შარაძენიძე.

გულდაწყვეტილი მშობლები **იასონ ბახვას ძე და თამარ ამბაკოს ასული, დაიკო ქეთინო და ძამიკო გიგო გ ა ბ ი ლ ა ი ა** აცნობებენ თავის ნათესავებთ, მეგობრებთა და ამხანაგებს, რომ მათი უსაყვარლესი არსებანი

როსტევან იასონის ძე გაბილაია
(ოქროპირ—გულიკო—გულიკელა—გუჯუ)
და
აბესალომ იასონის ძე გაბილაია
(კუკური—კუკუ—ტოტა—ტოტიკო)

დასაფლავებული იქნებიან თფილისში 31 დეკემბერს წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე, ვერაზე. გამოსვენება მოხდება დილის 11 საათზე საკუთარი ბინიდან: **უნივერსიტეტის ქუჩა სახ. № 4, უნივერსიტეტის გვერდით.**
2—2 პანაშვიდი იქვე შაბათს, 30 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე. № 368

ამიერ-კავკასიის რკ. გზების
ტფილისის ქალაქის
სადგური
იღებს გადასატანად ტვირთებს რკინის გზის
სადგურიდან შემდეგი
ფ ა ს ე ბ ი:

	მან. ფუთზე
ერევნის მოედნამდე . .	15.000
მოედნამდე	15.000
ვორონცოვის მოედნამდე.	10.000
სხვა პუნქტებამდე **შეთანხმებით.**	

ყოველ დღე საბარგო სადგურზე იმყოფება ქალაქის სადგურის წარმომადგენელი ტვირთების გადატანის მონდობილობათა მისაღებად.

5—2

ქალაქ ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო
აცხადებს, რომ ახლო მომავალში
ს ა ჯ ა რ ო ვ ა ჭ რ ო ბ ი თ
გაცემული იქნება დეზერტირის ბაზართან, ანდრეევის და [illegible] მდებარე თავისუფალი ადგილები, ბაზრის მოსაწყობად. [illegible] ცალკე გამოცხადებული
პირობების გაგება შეიძლება საფინანსო განყოფილების მდივან გ. ახვლედიანთან ოთახი № 14. № 244. 3—2

განცხადება

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ საგანგებო კომისიისა

თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომისა

და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა (№ 25, 7 დეკემბრის 1922 წ.), სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია აცხადებს ტფილისის მცხოვრებთა საყურადღებოთ შემდეგს:

1. სახლის პატრონებთ ან მათ მოადგილეთ ევალებათ გადამხდელთა სიების სასწრაფოდ შედგენა, როგორც ეს აღნიშნულია ქალ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილებაში ა. წ. დეკემბრის 19 თარილით № 15.

2. თითეულ სახლში უნდა შედგეს 5 სია: 1) მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც იღებენ ჯამაგირებს მე-9 კატეგორიამდე თანჩათვლით, 2) მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც იღებენ ჯამაგირს მე 9 კატეგორიაზე ზევით, 3) ვაჭარ მრეწველებზე, 4) დანარჩენ მოქალაქეებზე და 5) იმ პირებზე, რომლებიც დეკრეტის ძალით განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან.

3. სიები უნდა შედგეს შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

№ № რიგ.	გვარი, სახელი და მამის სახ.	რას აკეთებს	სამოქალ. გადას. ოქროთი	შენიშვნა

4. მუშა-მოსამსახურეებს და გადასახადისაგან განთავისუფლებულებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული მოწმობები, პროფ-კავშირებიდან და სათანადო დაწესებულებიდან.

5. სიები, პირადობის მოწმობები და სპეციალური მოწმობები სახლის წიგნებთან ერთად უნდა იქმნენ წარმოდგენილი სათანადო კომისარ. სამისამართო მაგიდაში შეკრებილ გადასახადის თანდართვით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ მუშა-მოსამსახურეები სიების შედგენის დროისთვის ვერ მოასწრებენ მოწმობების აღებას, სიები უნდა შედგეს და ნარჩენებზე, მუშა-მოსამსახურეებზე კი უნდა შესდგეს დამატებითი სიები ფულის კურსი—250 მან. ქართული ბონებით 31 დეკემბრამდე.

6. სიით № 1 იხდიან 50 კ. ოქროთი.
„ 2 „ 1 მან. ოქროთი
„ 3 „ 3 მან. „ „
„ 4 „ 1 მან. და 50 კ. ოქროთი

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია.

№ 247. 2—2.

თანახმად ქალ. ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა

ა. წ. 27 დეკემბრიდან, ყველა ბილიარდები, რომლებიც იყო საბილიარდებში რესტორანებში და კლუბებში, სავაჭრო სამრეწველო ბინების მუნიციპალიზაციის გამოცხადების დღეს, აღებულ უნდა იქმნან აღრიცხვაზე, როგორც ზემო აღნიშნულ მუნიციპალიზაცია ქმნილ ბინები კუთვნილება ყველა თავისი მოწყობილობით (შარები და სხ.) და გადაცემულ უნდა იქმნეს გადასახადთა ბიუროს განკარგულებაში. აღრიცხვა ხდება გადასახადთა ბიუროს რაიონულ აგენტების მიერ შედგენილ აქტების მიხედვით. ის პირნი, რომლებიც დაფარავენ ბილიარდებს აღრიცხვიდან მიცემულ იქმნებიან პასუხის გებაში.

№ 245. 2—2

ამიერ-კავკასიის რკინის გზების
ტფილისის ქალაქის
ს ა დ გ უ რ ი
იღებს ცოტა და დიდი
ზ ნ ი თ
ტვირთებს და საოჯახო
ნივთებს
შ ე ს ა ნ ა ხ ა დ
საწყობებში სადგურზე და ქალაქში ერევნის მოედანზე ყოფილ თამამშევის ქარვასლაში.
შეღავათიან პირობებში.

5—2

დოკტორი გ. მეგრაბიანცი
„უ. ასისენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“
შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა. რენტგენის სინათლის— ელექტრონის წამლობის კაბინეთი.
იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.
№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23. 35

ტირაჟი 1.000 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.